სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N100

ქ. ბათუმი

18 აპრილი 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, შპს „გოდერძი თრეველ“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი დირექტორის გურამ ხალვაშის სახით, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 60100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2018 წლის 20-21 აპრილს (2 დღე) აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს უკრაინის რესპუბლიკიდან, კერძოდ, ლვოვის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ადგილობრივი მედია საშუალებებისა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს (სულ 12 პიროვნება) გაუწიოს ტრანსპორტით მომსახურება შემდეგი მარშრუტით: ტრანსპორტირება ბათუმის ტერიტორიაზე, თამარ მეფის თაღოვანი ხიდი, მახუნცეთის ჩანჩქერი, ქედა - სოფ. პირველი მაისი „შერვაშიძის მარანი“, აჭარული ღვინის სახლი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ტრანსფერი ბათუმიდან თბილისში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს <u>950 (ცხრაასორმოცდაათი)</u> ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია: ციალა ქათამიძე- ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტურქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს „გოდერძი თრეველ“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ბათუმი, ლ.ასათიანის ქ.N58
	საიდენტიფიკაციო კოდი: 445525726
	სს „თიბისი ბანკი“ *ბანკის კოდი – TBCBGE22* ანგარიში N GE70TB7595436080100007
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორი**
_____/სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____/გურამ ხალვაში/ ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 18 აპრილს შპს „გოდერძი თრეველთან" გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N100 ხელშეკრულებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე — სულხან ღლონტი

ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — ციალა ქათამიძე

18 აპრილი 2018 წელი